შეტყობინება მეორე

ქანაანის მიწის მოპოვება სატანის ძალებზე გამარჯვებით

ადგილები წერილიდან: იესო ნ. 1:2, 6, 11; 5:13-15; 6:1

I. ძველ აღთქმაში არის წინასახეების სისტემა, წინასახეების ნაკრები, ხოლო ახალ აღთქმაში – ყოველმხრივი შესრულება ამ წინასახეების სისტემისა ღმერთის სახლმშენებლობასთან დაკავშირებით – 1 კორ. 10:3-4, 1, 11.

II. იესო ნავეს ძის წიგნი – არის წიგნი, რომელიც შეიცავს ღრმა წინასახეებს – 1:13; 2:18; 3:3, 10-11; 5:12; 6:6.

III. სიღრმისეული მნიშვნელობა იესო ნავეს ძის წიგნისა – არის დედამიწის დაკავება – 1:2, 6; 5:12.

IV. იმისათვის, რომ გავიგოთ, რას ნიშნავს ისრაელიანების შესვლა ქანაანში და ომი ქანაანში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ქანაანს აქვს ორმაგი მნიშვნელობა წინასახეების სისტემაში – კოლ. 1:12; ეფეს. 1:3; 2:2; 6:12:

ა. დადებითი მხრივ, ქანაანი, სიმდიდრეების მიწა, არის წინასახე ყოვლისმომცველი ქრისტესი მის აღურაცხელ სიმდიდრესთან ერთად – რჯლ. 8:7-10; კოლ. 1:12; ეფეს. 3:8:

1. კეთილი მიწა არის ქრისტეს საბოლოო წინასახე, რასაც ვხედავთ წერილებში – რჯლ. 8:7.
2. კეთილი მიწა, ქანაანის მიწა, არის წინასახე ქრისტესი, რომელიც არის ყველაფერი და ყველაფერში და რომელიც არის ყველაფერი ჩვენთვის – ეფეს. 3:8.
3. ბიბლიაში მიწა არის გამოხატულება, სიმბოლო, ქრისტესი – დაბ. 1:9; 2 პეტ. 3:5:
   ა) მიწა, გამოსული სიკვდილის წყლიდან მესამე დღეს, დაბ. 1:9-10 და 13-ში არის წინასახე აღმდგარი ქრისტესი, რომელიც გამოვიდა სიკვდილიდან მესამე დღეს.
   ბ) მიწიდან გამოვიდა მრავალი სხვადასხვა სახის სიცოცხლე დაბ. 1:11-12-სა და 24-25-ში; ეს აღნიშნავს, რომ ქრისტე არის სათავე ყველა სახის სიცოცხლისა.
   გ) ღმერთის განზრახვა, გახსნილი წერილებში, არის ის, რომ ქრისტე უნდა იყოს ჩვენი მიწა – რჯლ. 8:7-10.
4. ქრისტე, როგორც კეთილი მიწა, მიწა, გამოსული სიკვდილის წყლებიდან, გამოხატულია ქანაანის მიწის დახმარებით – დაბ. 1:9; იესო ნ. 1:13.

ბ. უარყოფითი მხრივ, ქანაანი აღნიშნავს ჰაერის ნაწილს, ზეციურ ნაწილს, სატანის სიბნელის სამეფოსი, ზეციურ საზღვრებს, რომლებიც სავსეა სატანური ძალებით – ეფეს. 2:2; 6:12:

1. სატანას აქვს თავისი ძალაუფლება და ჰყავს თავისი ანგელოზები, რომლებიც არიან მისი ქვეშევრდომები – მთავრობები, ძალაუფლებები და მმართველები ამ ქვეყნიერების სიბნელისა; აქედან გამომდინარე, მას

აქვს თავისი სამეფო, სიბნელის ძალაუფლება – საქმე. 26:18; მათე 12:26; 25:41; ეფეს. 6:12; კოლ. 1:13.

2. სატანა, ღმერთის მტერი, ყველაფერს აკეთებდა და აგრძელებს ყველაფრის გაკეთებას, რაც მის ძალაშია, რათა ხელი შეუშალოს ღმერთის ხალხს ყოველისმომცველი ქრისტეთი როგორც კეთილი მიწით ტკბობაში; ბოროტი ძალები დღევანდელ დღემდე ფარავენ საბურველით ქრისტეს ყოველისმომცველობას ღმერთის ხალხისაგან – 2:8, 18; 2 კორ. 4:3-4.

3. ეფესელთა მიმართ წერილში ნაჩვენებია, რომ ზეციურ საზღვრებში არის სხვადასხვა ფენები – 1:3; 2:2; 6:12:

   ა) ქრისტე არის უმაღლეს ფენაში, მესამე ცაზე, რათა იყოს ყველაფერი ჩვენთვის როგორც ჩვენი კეთილი მიწა – რჯლ. 8;7-10.

   ბ) ზეციურ საზღვრებში არის უფრო დაბალი ფენა – ჰაერი, სადაც სატანა, როგორც მმართველი ჰაერის ძალაუფლებისა ხელს უშლის ადამიანებს დედამიწაზე, რომ შეეხონ ღმერთს და მიიღონ ქრისტე; ამის წინასახე არის ქანაანი, რომელიც ხელს უშლის ისრაელს, რომ შევიდეს კეთილ მიწაზე – ეფეს. 2:2.

4. ქანანეველები არიან წინასახე დაცემული ანგელოზებისა, აჯანყებული ანგელოზებისა, რომლებიც მიჰყვებიან სატანას და რომლებიც გახდნენ ძალები, ხელმწიფებანი და ძალაუფლებები სატანის სამეფოში, სულიერი ძალები ბოროტებისა ზეციურ საზღრებში – გამოცხ. 12:4, 7; ეფეს. 6:12

გ. ქანაანის მნიშვნელობის ამ ორი ასპექტის შესახებ წინასახეების სისტემაში საუბარია ეფესელთა მიმართ წერილში; ამ თვალსაზრისით, იესო ნავეს ძის წიგნი ძველ აღთქმაში შეესაბამება ეფესელთა მიმართ წერილს, რადგან ორივე წიგნი წარმოადგენს მონათხრობს „ქანაანზე“:

1. როგორც კი ისრაელის შვილები შევიდნენ ქანაანში, მათ დაიწყეს ტკბობა ქრისტეს სიმდიდრეებით და მონაწილეობდნენ ომში – იესო ნ. 5:12; 6:1-21.

2. ეფეს. 3:8-ში საუბარია ქრისტეს სიმდიდრეზე, ხოლო 1:3; 2:6 და 6:12-ში საუბარია ზეციურ საზღვრებზე; აქედან გამომდინარეობს, რომ ეკლესიაში ჩვენ უნდა დავტკბეთ ქრისტეს სიმდიდრით და მონაწილეობა მივიღოთ სულიერ ომში.

3. იესო ნავეს ძის წიგნის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ მთლიანად გავიგოთ სულიერი ომი ეფეს. 6:10-20-ში.

V. თუ ჩვენ გვინდა, რომ მოვიპოვოთ კეთილი მიწა ღმერთის ჩანაფიქრის შესასრულებლად, ჩვენ მონაწილეობა უნდა მივიღოთ სულიერ ომში, რათა გავიმარჯვოთ სატანურ ძალებზე – იესო ნ. 6:21:

ა. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ აუცილებლობა სულიერი ომის – ომის სატანის სამეფოსა და ღმერთის სამეფოს შორის – მათე 6:10; 7:21; 12:26, 28; ესაია 14:12-14.

ბ. როდესაც ისრაელი ემზადებოდა, რომ მოეპოვებინა ქანაანის მიწა, ეს მიწა დასახლებული იყო ადამიანებით, რომლებიც იყვნენ შეპრობილი დემონებით, კერპთაყვანისმცემლებითა და ბუმბერაზებით – რიცხ. 13:33.

გ. ვინაიდან ქანაანის მიწაზე ცხოვრობდნენ ბუმბერაზები, ნაზავი დაცემული ანგელოზებისა და დაცემული ადამიანებისა, ღმერთმა უბრძანა ისრაელის შვილებს, მოეპოვებინათ ეს მიწა და გაენადგურებინათ იქ ყველაფერი ცოცხალი, რათა ადამიანის მოდგმა გაწმენდილიყო – რჯლ. 7:1-2:

1. ღვთაებრივი აზრის თანახმად, ტომები ქანაანის მიწაზე უნდა განადგურებულიყვნენ, რადგან ისინი იყვნენ ეშმაკისეულნი და შეზავებულნი დემონებთან – მუხ. 2; იესო ნ. 11:21-22; 14:6-14.
2. ქანანეველები აღნიშნავენ არა მარტო დაცემულ ანგელოზებს, არამედ ადამიანებსაც, შეერთებულებს ვოროტ სულებთან, სიბნელის სატანურ ძალებთან ჰაერში – რიცხ. 14:45.

დ. ისრაელის ბრძოლა ამ მიწის მაცხოვრებლების წინააღმდეგ გამოხატავს უხილავ სულიერ ომს, რომელიც მიმდინარეობს ხილული ვითარების უკან დედამიწაზე – დან. 10:10-21; ეფეს. 6:10-20:

1. ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, დავინახოთ, რომ დაფარულად მიმდინარეობს სულიერი ბრძოლა, ბრძოლა, უხილავი ადამიანის თვალისათვის.
2. გარდა ომისა, რომელიც მიმდინარეობს დედამიწაზე, ჩვენ ვხედავთ ომს ღმერთსა და სატანურ ძალებს შორის ჰაერში – 2:2; 6:12.

ე. ისრაელის შვილების ბრძოლა ქანანეველების წინააღმდეგ კეთილი მიწის დაუფლებისა და კეთილი მიწით ტკბობისათვის არის წინასახე ეკლესიის სულიერი ომისა მთლიანობაში, მათ შორის ყველა ასოსი, „ზეციურ საზღვრებში ბოროტების სულიერი ძალების წინააღმდეგ“ (მუხ. 12) იმისათვის, რომ წმიდანები დატკბნენ ქრისტეთი როგორც ყოვლისმომცველი მიწით.

ვ. ქრისტე არის ჩვენი კეთილი მიწა, და ღმერთს უნდა, რომ ჩვენ მოვიპოვოთ ქრისტე, მაგრამ ჩვენსა და კეთილ მიწას შორის არის ფენა ეშმაკისეული, დემონური ძალების სახით; თუ ჩვენ გვინდა, მოვიპოვოთ კეთილი მიწა ჩვენი ტკბობისათვის, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ ამ სატანურ ძალებზე – კოლ. 1:12-13; 2:15; ეფეს. 3:18; 6:11-12:

1. მიმდინარეობს ყველაზე ნამდვილი სულიერი ომი, რომელშიც ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა; ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა, რათა მოვიპოვოთ ყოვლისმომცველი ქრისტე ეკლესიის როგორც ქრისტეს სხეულის, ახალი კაცისა და ღმერთის სამეფოს, ასაშენებლად – მუხ. 10-12; 1 ტიმ. 6:12ა; 2 ტიმ. 2:3-4; კოლ. 1:13, 18; 2:19; 3:10-11.
2. თუ ჩვენ გვინდა, რომ მოვიპოვოთ ქრისტე ჩვენი ტკბობისათვის, ჩვენ უნდა ვიყოთ ერთობლივი მეომარი, ეკლესია როგორც ქრისტეს სხეული, – ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სატანური ძალების წინააღმდეგ და გავიმარჯვოთ მათზე, რათა შევძლოთ, მოვიპოვოთ მეტი ქრისტე ქრისტეს სხეულის ასაშენებლად, ღმერთის სამეფოს დასადგენად და

გასავრცელებლად, რათა ქრისტემ შეძლოს დაბრუნება და მიწის დამკვიდრება – ეფეს. 3:8; 4:16; მათე 24:14; გამოცხ. 11:15.

VI. იმისათვის, რომ მონაწილეობა მივიღოთ სულიერ ომში, ჩვენ უნდა დავინახოთ ხედვა, რომელიც გვიხსნის ქრისტეს, როგორც იეჰოვას მხედრობის ბელადს – იესო ნ. 5:13-14:

ა. იესო ნავეს ძე იყო ხილული ბელადი იეჰოვას მხედრობისა, ხოლო ქრისტე იყო უხილავი ბელადი, რათა ებრძოლა ისრაელისათვის ქანაანის შვიდი ტომის წინააღმდეგ – მუხ. 14.

ბ. ქრისტეს როგორც იეჰოვას მხედრობის ბელადის ხედვის გამო იესოს მუდმივად უნდა დაეკავებინა გაწმიდანების (სიწმიდის) მდგომარეობა – მუხ. 15:

1. სიწმიდე არის ბუნება და თვისება წმიდისა – რომ. 1:2.
2. გაწმიდანება (ღმერთისათვის) არის პრაქტიკული შედეგი, თვისება მოქმედებაში და საბოლოო მდგომარეობა გაწმიდანებულისა – 6:19, 22.

VII. ჩვენ უნდა გავიგოთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ნებას აძლევდნენ ისრაელის ხალხს, მოეპოვებინათ გამარჯვება თავიანთ პირველ ომში – იესო ნ. 6:1-20:

ა. ის, რომ იერიხონი დაიკეტა, იქ შეჩერდა ყოველგვარი მოძრაობა, ისე რომ არავინ არ შედიოდა იქ და არ გადიოდა იქიდან, აღნიშნავს, რომ სიბნელის ძალები, სულიერი ბრძანები ბოროტებისა ზეციურ საზღვრებში, იყვნენ შეკრულნი – მათე 12:29; ეფეს. 6:12.

ბ. ღმერთის ხალხს არ სჭირდებოდა არაფრის გაკეთება იერიქონის განადგურებისათვის.

გ. მათ სჭირდებოდათ მხოლოდ რწმენა და ღმერთზე მინდობა, ისრაელის მხედრობის ბელადის მითითებების მოსმენა და ქრისტეს ამაღლება, კიდობნის ტარებისას – იესო ნ. 6:3-11.

დ. ის, რომ მღვდლები აქ ატარებდნენ კიდობანს, გვიჩვენებს, რომ სულიერ ომში ჩვენი პირველხარისხოვანი საქმეა ქრისტეს ამაღლება, მისთვის პირველი ადგილის, პირველობის, მიცემა ყველაფერში – მუხ. 4, 7-11; კოლ. 1:18:

1. როდესაც ისრაელის ხალხმა დაიწყო თავდასხმა იერიქონზე, მათ გააკეთეს ეს ქრისტეს მეთაურობის ქვეშ, რაც ნაჩვენებია კიდობნის წინასახეში – იესო ნ. 5:14; 6:3-11.
2. კიდობანმა, ქრისტეს წინასახემ, რომელიც იყო მათი მხედარმთავარი, პირველმა დაიწყო თავდასხმა მტრებზე – მუხ. 4.

ე. ჩუმად ვიყოთ, სანამ არ იქნება გაცემული ბრძანება, რომ შევძახოთ, – ნიშნავს შევასრულოთ საქმე უფლის გზით, არ გამოვხატოთ არავითარი აზრი, მოსაზრება და გრძნობა – მუხ. 10.

ვ. გამარჯვება იერიქონზე ისრაელის პირველ ბრძოლაში ირდანეს გადასვლის შემდეგ იყო მოპოვებული არა იმის წყალობით, რომ ისრაელი იბრძოდა, არამედ იმის წყალობით, რომ ისინი აყვირებდნენ საყვირებს და შესძახოდნენ, რასაც აღნიშნავს მოწმობა და განცხადება ღმერთისა ქრისტესთან

(კიდობანთან) ერთად რწმენის მეშვეობით ღმერთის დამოძღვრის სიტყვაში – მუხ. 2-5.

VIII. უნიკალური პრინციპი არის ის, რომ სულიერი გამარჯვება დამოკიდებულია არა ბრძოლაზე, არამედ ქებაზე – 2 ნეშ. 20:20-22:

ა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ გამარჯვება სატანაზე ჩვენი ქებით.

ბ. ადამიანი, რომელიც აქებს ღმერთს, აღმატებულია ყოველივეზე და მუდმივად იმარჯვებს თავისი ქების მეშვეობით; ეს არის პრინციპი, და ეს არის ფატი – ებრ. 11:30, 33-34; 13:15.

© 2021 Living Stream Ministry